

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2022 წლის 27 დეკემბერი

ქ.ლაგოდეხი

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/01/2018, 010250050.35.167.01636).

მუხლი 2

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 17 იანვრის №11 დადგენილებით დამტკიცებული დანართი „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

